სექტემბერი, 2025

აქა მშვიდობა!

ევროკავშირი სახელმწიფოების გაერთიანებაა, რომელიც 70 წელზე მეტია უზრუნველყოფს მშვიდობას ევროპის კონტინენტზე

სამხედრო vs სამოქალაქო ეკონომიკა

დასავლური სანქციების გავლენები რუსეთის ეკონომიკასა და სამხედრო შესაძლებლობებზე

გვერდი 2-4

სანქციები

სანქციები - ევროკავშირის სტრატეგია და იარაღი საერთაშორისო არენაზე

გვერდი 4-5



„ ქვეყნის რისკის“ ფასი

რატომ ღირს საქართველოში სესხი სამჯერ ძვირი, ვიდრე ევროპაში?

გვერდი 7-8

არჩევანი

ერეკლე II-ის ევროპული არჩევანი

გვერდი 6-7

მშვიდობის საზოგადოება
PEACE SOCIETY

დასავლური სანქციების გავლენები რუსეთის ეკონომიკასა და სამხედრო შესაძლებლობებზე

დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება 2014 წელს დაიწყეს, ყირიმის ანექსიაზე პასუხად. 2022 წელს, როდესაც რუსეთი უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომით შეიჭრა, სანქციები მნიშვნელოვნად გამკაცრდა. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა, G7-ის წევრებმა და მათმა მოკავშირეებმა თანამედროვე ისტორიაში სანქციების ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი რეჟიმი აამოქმედეს.

რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები და რუსეთის სახელმწიფო მედია, ხშირად ისე წარმოაჩენს საკითხს, თითქოს სანქციები რუსეთზე გავლენას საერთოდ არ ახდენს და დაუბრკოლებლად გრძელდება როგორც საომარი მოქმედებები, ასევე რუსეთის ეკონომიკური განვითარება. თუმცა, საქმე ასე ნამდვილად არ არის.

სანქციებს ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა. ერთი მხრივ, ისინი მიმართული იყო რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტებისკენ, რათა ქვეყნისთვის სამხედრო მოქმედებების გაგრძელება გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელი გამხდარიყო. მეორე მხრივ კი, სანქციები წარმოადგენდა მკაფიო პოლიტიკურ სიგნალს გლობალური აუდიტორიისთვის, რომ დასავლეთი კვლავ ინარჩუნებს თავის დომინანტურ როლს საერთაშორისო წესრიგის განსაზღვრაში.

რადგან სამი წლის შემდეგ, ომი კვლავ სრული სიმწვავით მიმდინარეობს, ხოლო რუსეთის ეკონომიკა, მიუხედავად უამრავი პესიმისტური პროგნოზისა, არ ჩამოშლილა, ამ ყველაფერმა სანქციების ეფექტურობასთან დაკავშირებით მწვავე დებატები გამოიწვია. ეკონომისტების ნაწილი ამტკიცებს, რომ სანქციები ნელა მოქმედი შხამივით არის, რომელიც თანდათანობით აზიანებს რუსეთის ეკონომიკას, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ სანქციები საპირისპიროდ მოქმედებს და უნებლიეთ, რუსეთის ეკონომიკა უფრო თვითკმარი გახდა. ამ ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს მიღმა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთის ახალი, ღრმად გახლეჩილი ეკონომიკის სტრუქტურა.

რუსეთის ორსახიანი ეკონომიკა: სამხედრო ბუმი და სამოქალაქო კრიზისი

დღევანდელი რუსეთის ეკონომიკის გასაგებად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას ორი სახე აქვს:
ერთ მხარეს დგას სწრაფად მზარდი სამხედრო ეკონომიკა,
ხოლო მეორე მხარეს — კრიზისში მყოფი სამოქალაქო სექტორი, რომელიც სიღარიბით გამოირჩევა.
ეს „ორსახიანი“ ეკონომიკური სტრუქტურა პირდაპირი შედეგია, როგორც დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციებისა, ისე კრემლის მიერ ამ სანქციებზე გაცემული პასუხისა.

სამხედრო ეკონომიკა: რუსეთის მთავრობა თავდაცვაზე რეკორდულ თანხებს ხარჯავს. 2024 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 149 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი ეკონომიკის 7.1%-ს და სამთავრობო ხარჯების 20%-ს უტოლდება. 2024 წლის სამხედრო ბიუჯეტი 2023 წელთან შედარებით 38%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2015 წელთან შედარებით გაორმაგებულია.

ამ მასშტაბის ფისკალური სტიმულის შედეგად, რუსეთის სამხედრო ინდუსტრია მისი ეკონომიკის სტრატეგიულ დარგად ჩამოყალიბდა, სადაც ტანკებს, ხომალდებს, რაკეტებს, დრონებს და სხვა საბრძოლო მასალას უწყვეტად ამზადებენ.

მიმდინარე პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოება, დასაქმება და ხელფასები ისეთ ინდუსტრიულ დარგებში, როგორიცაა შეიარაღების წარმოება, გემთმშენებლობა, ინჟინერია, იარაღის დიზაინი და სხვა. შესაბამისად, იმ მოქალაქეებმა, ვინც ამ სექტორებშია დასაქმებული, ეკონომიკური სარგებელი მიიღეს. ეს არის თანამედროვე რუსეთის ეკონომიკის ის „სახე“, რომელსაც კრემლი აქტიურად და ამაყად წარმოაჩენს, როგორც დასავლური სანქციების წარუმატებლობის მაგალითს, განსაკუთრებით 2023 წლის სტატისტიკის ფონზე, სადაც 4.1%-იანი ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება.

სამოქალაქო ეკონომიკა: ეკონომიკის ეს სეგმენტი, განსხვავებულ ისტორიას მოგვითხრობს, რადგან სანქციებმა მასზე საკმაოდ მძიმედ იმოქმედა. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა დასავლეთიდან იმპორტირებული ისეთი მაღალტექნოლოგიური სამეწარმეო კომპონენტების აკრძალვა, როგორიცაა მიკროჩიპები, ნახევარგამტარები, სანავიგაციო სისტემები და სხვა. აღნიშნულმა პროცესებმა პირდაპირ დააზარალა ავტომრეწველობა, მედიცინა, ელექტრონიკა და მათთან დაკავშირებული სხვა სექტორები.

ფასების ზრდასთან საბრძოლველად, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთები რეკორდულ ნიშნულამდე გაზარდა, რამაც გაართულა სესხის აღება და შეამცირა საერთო მოხმარება ქვეყანაში. ამასთან ერთად, სამოქალაქო ეკონომიკა მუშახელის დეფიციტის წინაშეც აღმოჩნდა, რადგან კვალიფიციური მუშახელი უფრო მეტად წარმატებულ სამხედრო სექტორში ინტეგრირდა ან ქვეყანა დატოვა.

რაც შეეხება სამთავრობო ხარჯებს, აქ უპირატესია თავდაცვა, რაც ჯანდაცვის, განათლების და სხვა საჯარო სერვისებზე გასაწევი ხარჯების შემცირების გზით ფინანსდება. ეს ყველაფერი ქმნის მეტად უცნაურ რეალობას, სადაც ოფიციალური ეკონომიკური ზრდა იარაღის წარმოებით არის განპირობებული, მაშინ როდესაც რიგითი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხი უარესდება ფასების ზრდისა და საჯარო მომსახურებაში ინვესტიციების ნაკლებობის გამო.

სანქციების მოკლე და გრძელვადიანი ეკონომიკური შედეგები

თავდაპირველმა სანქციებმა ყველაზე დიდი დარტყმა რუსეთის ფინანსურ სისტემას მიაყენა, თუმცა ხანმოკლე პერიოდით. რუბლი გაუფასურდა, რუსეთის საფონდო ბირჟა გაიყინა, საბანკო სისტემა კრიზისში შევიდა და ასობით დასავლურმა კომპანიამ ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა. ყველაზე მძიმე დარტყმა რუსეთის ცენტრალური ბანკის საგარეო რეზერვების დაახლოებით 300 მილიარდი დოლარის გაყინვას უკავშირდება, რამაც ფაქტობრივად ერთგვარი დამცავი ფარი მოუხსნა რუსეთს ფინანსური კრიზისების ჟამს.

აღსანიშნავია, რომ კრემლი გარე ეკონომიკურ შოკებს გარკვეული მზაობით შეხვდა, რის შედეგადაც პროგნოზირებული 10-15%-იანი ეკონომიკური კოლაფსი არ შედგა. 2022 წელს რუსეთის ეკონომიკა, მხოლოდ 1.4%-ით შემცირდა. ეკონომიკური კოლაფსის თავიდან აცილების მთავარი მიზეზი, ამავე წლის სავაჭრო ბალანსის უპრეცედენტო პროფიციტს უკავშირდება, რომელმაც 238 მილიარდი დოლარი შეადგინა.

აღნიშნული პროფიციტი რამდენიმე ფაქტორის ურთიერთქმედებამ განაპირობა. ერთი მხრივ, დაწესებული სანქციებისა და საერთაშორისო კომპანიების მიერ ბაზრის დატოვების შედეგად იმპორტი მკვეთრად შემცირდა. მეორე მხრივ, ენერგორესურსებზე (უპირველესად, ნავთობსა და ბუნებრივ აირზე) გაზრდილმა გლობალურმა ფასებმა საექსპორტო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაზარდა. დასავლეთის მიერ რუსულ ენერგომატარებლებზე ემბარგოს დაწესების გაჭიანურებამ ამ პროცესში კატალიზატორის როლი შეასრულა. ამასთან ერთად, კაპიტალის კონტროლმა, საექსპორტო ნაკადების აზიის მიმართულებით გადასროლამ და მონეტარული პოლიტიკის დროულმა გამკაცრებამ უზრუნველყო ვალუტის სტაბილიზაცია.

რაც შეეხება გრძელვადიან შედეგებს, ეს საკითხი ინტენსიური დებატების საგანია, თუმცა, გარკვეული ეკონომიკური მახასიათებლები ხანგრძლივ პერიოდში პესიმისტურ სურათზე მიუთითებს:

არამდგრადი სამხედრო ეკონომიკა: რუსეთის სამხედრო წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მოკლევადიანი სტიმული აღმოჩნდა, რადგან იგი გრძელვადიან პერიოდში არამდგრადია. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ სამხედრო წარმოება, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკა სტიმულირდება, რეალურად რესურსების „გაჟონვით“ ხასიათდება: სამხედრო ტექნიკა ფრონტზე იგზავნება და უმეტეს შემთხვევაში ნადგურდება, რაც ნიშნავს, რომ შრომა, მასალა და საბიუჯეტო სახსრები უბრალოდ იკარგება და არ ქმნის გრძელვადიან ეკონომიკურ ღირებულებას. უახლესი კვლევების მიხედვით, 2022 წლის შემდეგ რუსეთში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდა რეალური პროდუქტიულობის ზრდის კი არა, სახელმწიფო ხარჯების ზრდის შედეგია. დღეს ეს ფისკალური რეზერვები იწურება, ინფლაციური ზეწოლა ძლიერდება და სამხედრო ხარჯების მაღალ დონეზე შენარჩუნება სულ უფრო ძვირი ჯდება. ამ სტრუქტურული პრობლემის გამოვლინებაა ისიც, რომ 2025 წელს რუსეთის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ნელდება და მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს, რაც ნათლად აჩვენებს, რომ სამხედრო ეკონომიკური მოდელი განვითარების მდგრად გზას არ წარმოადგენს.

ტექნოლოგიური დეგრადაცია: ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდვა რუსეთის ეკონომიკის გრძელვადიანი სტაგნაციის მთავარ რისკად ყალიბდება, გამომდინარე მისი სტრუქტურული დამოკიდებულებიდან დასავლეთში წარმოებულ ტექნოლოგიურ კომპონენტებზე. ეს პირდაპირ აისახება პროდუქტიულობის კლებაზე და შემდეგი ათწლეულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენის საფრთხეს ქმნის. ამასთან, იმპორტის ჩანაცვლების მცდელობები ჯერჯერობით არაეფექტიანია, რადგან ხელმისაწვდომი ალტერნატივები, როგორც წესი, უფრო ძვირი და დაბალი ხარისხისაა.

ტვინების გადინება: მიუხედავად იმისა, რომ მისი ეფექტი ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის, კვალიფიციური კადრების მიგრაცია („ტვინების გადინება“) რუსეთის ეკონომიკისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში კრიტიკული მნიშვნელობის იქნება. მეწარმეების, მეცნიერებისა და პროგრამისტების გადინება პირდაპირ ამცირებს ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს და აზიანებს მომავალი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს.

შემცირებული სუვერენიტეტი: ვაჭრობის აღმოსავლეთით რეორიენტაციის შედეგად რუსეთი თითქმის მთლიანად ხდება პარტნიორების ვიწრო, არადასავლურ წრეზე დამოკიდებული, სადაც დომინანტურ როლს ჩინეთი ასრულებს. ეს ქმნის რეალურ რისკს, რომ რუსეთი, რომელიც წარსულში გლობალურ აქტორად პოზიციონირებდა, გრძელვადიან პერსპექტივაში პეკინის უმცროს პარტნიორად ან სატელიტად იქცეს. ასეთი სტატუსი გულისხმობს ეკონომიკური სუვერენიტეტის მნიშვნელოვან შეზღუდვას: საკუთარი რესურსების ჩინეთში დაბალ ფასად რეალიზაციას და ტექნოლოგიურ იმპორტს პეკინის მიერ ნაკარნახევი პირობებით. ეს პროცესი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობასაც ნიშნავს და ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას საკმაოდ პესიმისტურს ხდის.

რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის საბოლოო შეფასება ნაადრევია, თუმცა წინასწარი შედეგები ამბივალენტურ სურათს ქმნის. ერთი მხრივ, სანქციებმა ვერ მიაღწია მის მთავარ პოლიტიკურ მიზანს — კრემლის იძულებას, შეეწყვიტა აგრესია. მეტიც, გარკვეულწილად, მან შიდა კონსოლიდაციასა და ქვეყნის შიგნით რეჟიმის პოლიტიკური პოზიციების გამყარებასაც კი შეუწყო ხელი.

უკვე აშკარაა, რომ სანქციების პაკეტი წარმატებით ახერხებს რუსეთის ძალაუფლების შეზღუდვას. ამის ნათელი ილუსტრაციაა რუსეთის „ორსახიანი“ ეკონომიკა, როცა არამდგრადი სამხედრო სექტორი აღმავლობას განიცდის, მაშინ როდესაც სამოქალაქო სექტორი კრიზისშია შესული. ამასთან, ქვეყნის გრძელვადიან სამრეწველო და ტექნოლოგიურ ბაზას სისტემური ზიანი მიადგა, რომლის აღდგენას რუსეთის ხელისუფლება ვერ ახერხებს.

ზეზვა ზანგურაშვილი
ეკონომისტი

სანქციები - ევროკავშირის სტრატეგია და იარაღი საერთაშორისო არენაზე



სიტყვა სანქცია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტერმინი გახდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა სანქციებმა, 2022 წლის თებერვლის შემდეგ შეიძინეს, მას მერე, რაც რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და ევროკავშირმა დაიწყო სანქციების პაკეტების დაწესება რუსეთის ფედერაციისათვის. რა თქმა უნდა, სანქციები მანამდეც გამოიყენებოდა, არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ გაეროს მიერაც. მაგრამ, სანქციების პოპულარობამ და ფართო მასების მიერ მისით დაინტერესება, სწორედ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა გამოიწვია.

სანქციები არსებობს უამრავი სახისა და ტიპის, თუმცა, რამდენიმე მთავარი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება:

1. ეკონომიკური სანქციები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო ემბარგოებს (ეს შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა), ასევე სექტორული სანქციები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად მხოლოდ ენერგეტიკის სფეროს, საფინანსო, ტექნოლოგიურ, საინვესტიციო აკრძალვებს, ძვირადღირებული ნივთების ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვას.

2. მიზანმიმართული (გონივრული/SMART) სანქციები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ინდივიდების, კომპანიების, ორგანიზაციების წინააღმდეგ. შესაბამისად, ისინი არ იწვევს მთლიანი ქვეყნის მოსახლეობის დაზარალებას. მსგავს ზომებს განეკუთვნება, მაგალითად მოგზაურობის აკრძალვა, ბიზნესის კეთების აკრძალვა მათ ტერიტორიაზე და აღნიშნული ინდივიდების, ბიზნესებისა თუ ორგანიზაციების ქონების დაყადაღება.

3. ფინანსური სანქციები, რომლებიც საბანკო შეზღუდვებს მოიცავს, კერძოდ, სესხებისა და კრედიტების აკრძალვას, ვალუტისა და კრიპტოვალუტის კონტროლს. მაგალითად, ირანისა და რუსეთის SWIFT-ის საბანკო სისტემიდან მოხსნა.

4. დიპლომატიური სანქციები, რომლებიც მოიცავს მოლაპარაკებების, თანამშრომლობების შეჩერებას, დიპლომატების ქვეყნიდან გაძევებას, ოფიციალური ვიზიტების შეზღუდვას.

5. სამხედრო სანქციები - იარაღის მიყიდვის აკრძალვა, მეორადი გამოყენების ტექნიკის მიყიდვის შეზღუდვა. ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდი „თავის ტკივილი“ აღმოჩნდა ევროკავშირისთვის რუსეთთან მიმართებით. ბოლო ნატოს სამიტზე, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხიც სწორედ ეს იყო, რადგან დღემდე ხდება რუსეთის საბრძოლო ტექნიკაში მეორადი გამოყენების ნაწილების აღმოჩენა, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ხვდება რუსეთში.

6. სამოგზაურო სანქციები - ფრენების აკრძალვა, პორტების გამოყენების აკრძალვა, ვიზების გაცემის აკრძალვა კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის და ა.შ.

7. კიბერ სანქციები - კონკრეტული ჰაკერული ჯგუფების წინააღმდეგ არჩევნებში ჩარევისა და შედეგების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული ზომები.

8. სანქციები ქიმიური/ბიოლოგიური/ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ.

9. თემატური, გლობალური სანქციები, მაგალითად, ევროკავშირი 2020 წლიდან იყენებს სანქციებს ადამიანის უფლებების შელახვის წინააღმდეგ. გლობალური სანქციები, რომელთა მოქმედების ქვეშ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე შეიძლება მოხვდეს.

ევროკავშირს სანქცირებული ჰყავს რუსეთი, ბელორუსი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, სირია, ასევე ვენესუელას, მიანმარის, ნიკარაგუას, ბურუნდის, ზიმბაბვეს, მალის, ლიბიის, სომალის, ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოს მოქალაქეები - დემოკრატიის უკუსვლისა და ჰუმანიტარული კრიზისების შექმნისთვის. ასევე ავღანეთის, ერაყის, ლიბანის, გვატემალას, ჰაიტის, ტუნისის, იემენის, სუდანის, სამხრეთ სუდანის, ნიგერიის, გვინეა ბისაუს, ბოსნია ჰერცეგოვინასა და თურქეთის კონკრეტული აქტორები და სექტორები. აღნიშნული სანქციები, არის როგორც ავტონომიურად, მხოლოდ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები და ასევე, გაეროს მიერ დაწესებული სანქციები, რომლებსაც ევროკავშირი უერთდება. 2025 წლის აპრილში, ევროკავშირმა დაასანქცირა მეჰდი ნემატი, ფარსის პროვინციის საპატიმროების დაცვისა და დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირანში. მას აქტივები გაუყინეს და ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა. მიზეზი კი იყო, ნემატის მიერ პოლიტიკურ აქტივისტთა თვითნებური დაპატიმრებები, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, ძალადობრივი მეთოდებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა პატიმრების მიმართ ირანში. ასევე, 2025 წლის მარტში, ევროკავშირმა დაასანქცირა 20-ზე მეტი ბელორუსიის მოქალაქე, რომლებიც მოსამართლეები და საარჩევნო კომისიის წევრები არიან. მთავარი მიზეზი მათ მიერ ბელორუსში არჩევნების გაყალბების, პოლიტიკურ რეპრესიებში მონაწილეობის, აქტივისტების უკანონოდ დაპატიმრება გახდა. მიანმარის სახელმწიფოს ადმინისტრაციული საბჭოს წევრი მოენ მიინ ტუნი, ასევე დაასანქცირა ევროკავშირმა, 2021 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, სასტიკი რეპრესიების დაწყების, მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევისა და სასიკვდილო განაჩენების, წამებისა, ძალადობის მიზეზით.

რუსეთი

დედამიწაზე ყველაზე სანქცირებული ქვეყანა

10 000
ინდივიდუალური სანქცია

29 000
არა-სავაჭრო სანქცია

ევროკავშირს სანქციების
17 პაკეტი

დღეს დედამიწაზე ყველაზე სანქცირებული ქვეყანა რუსეთია, ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ უახლოვდება რუსეთს ამ მიმართულებით, იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის, მოცულობისა და სიღრმის სანქციები ადევს რუსეთს სხვადასხვა საერთაშორისო აქტორის მიერ. რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, მხოლოდ ინდივიდუალურად დაწესებული სანქციები დღეის მდგომარეობით 10 000 აჭარბებს. 2025 წლის აპრილის მონაცემებით, დაახლოებით 29 000 არა-სავაჭრო სანქცია ადევს რუსეთს. შედარებისთვის, ირანს დაახლოებით 4 000 მეორადი სანქცია ადევს, სირიასა და ჩრდილოეთ კორეას დაახლოებით 3 000. რაც შეეხება, სირიას, ახალი ხელისუფლების პირობებში, ევროკავშირს დაწყებული აქვს მოლაპარაკებები, რიგი სანქციების მოხსნასა და შემსუბუქებაზე.

რატომ არის ეს ყოველივე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი?! პირველ რიგში, რომ არ მოხდეს სავაჭრო წესების დარღვევა საქართველოს მიერ. საქართველოში მოქმედი ინსტიტუტები შესაბამისობაში უნდა იყოს სანქციებთან. საქართველოს კომერციული ბანკები, ბიზნესები, მათ შორის, განსაკუთრებით ლოჯისტიკური კომპანიები, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ისინი არ არიან დასანქცირებულ კომპანიებთან დაკავშირებული, არ ეხმარებიან სანქციებისთვის გვერდის ავლასა და თავის არიდებაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაჭრობის ობიექტი რუსეთთან თუ ბელორუსთან არის დაკავშირებული. რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირს დღეის მდგომარეობით სანქციების 17 პაკეტი აქვს მიღებული. მათ შორის, მე-11 პაკეტი, რომელიც 2023 წლის ივნისში მიიღო, სწორედ სანქციებისთვის გვერდის ავლას ეხება. პაკეტი ყურადღებას ამახვილებს მესამე მხარეებზე, რომლებიც არ არიან სანქციების ობიექტები, თუმცა, ხელს უწყობენ დასანქცირებულ კომპანიებსა თუ პირებს, შეიმსუბუქონ სანქციების შედეგები. აღნიშნული პაკეტი, ასევე იძლევა სკრინინგის აუცილებლობასა და მესამე ქვეყნების დასანქცირების შესაძლებლობას. მე-12, მე-13 და მე-17 პაკეტები ამკაცრებს ყურადღებას სწორედ ამ მიმართულებით.

სანქციებთან შესაბამისობას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, საქართველო ამით განაცხადს აკეთებს, რომ იგი პროევროპული ღირებულებების ერთგული რჩება და მისი მიზანი კვლავ ევროკავშირში გაწევრიანებაა. სანქცირებულ კომპანიებთან და პირებთან ეკონომიკური კავშირები კი, ევროკავშირის პოლიტიკის საწინააღმდეგო ნაბიჯია. 2023 წლის ივნისში, საქართველოში სპეციალური ვიზიტით იმყოფებოდა დევიდ ო'სალივანი, რომელიც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელია სანქციების საკითხში. მან პოზიტიურად შეაფასა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ მიზანმიმართულად სანქციების დარღვევისა და სანქციებისთვის თავის არიდების ხელშეწყობას ადგილი არ ჰქონია. ასევე, აღნიშნა, რომ შესაძლოა ევროკავშირი იმედგაცრუებული იყოს იმით, რომ საქართველოს არ აქვს რუსეთისათვის სანქციები დაწესებული, თუმცა, მათ არ სურთ ჩაერიონ საქართველოსა და რუსეთს შორის ლეგიტიმურ სავაჭრო ურთიერთობებში, ისინი მხოლოდ ყურადღებით აკვირდებიან დასანქცირებულ საქონელს, რომელსაც რუსეთი შემდეგ სამხედრო მრეწველობისთვის იყენებს. კიდევ უფრო მარტივი ენით რომ ვთქვათ, ევროკავშირს არასდროს მოუთხოვია არც საქართველოსთვის და არც ერთი სხვა კანდიდატი ქვეყნისათვის სანქციების დაწესება რუსეთისათვის, რადგან მათ მკაფიოდ ესმით რიგი სპეციფიკური საკითხები, როცა საქმე ეკონომიკურ კავშირებს ეხება. ინდივიდუალურ სანქციებს რაც შეეხება, აღნიშნულიც სახელმწიფოების ინდივიდუალური გადასაწყვეტია, თუ რამდენად შეუძლიათ ამ ბერკეტის გამოყენება.

ევროკავშირის მიერ სანქციების დაწესების ფორმასა და სტრუქტურას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით თუ რამდენად თანაბარუფლებიანობაზე დაფუძნებული ორგანიზაციას წარმოადგენს იგი. სანქციების ინიციატორი და წარმდგენი, როგორც წესი, ევროკომისიაა. ამის შემდეგ, სანქციების მიღება ხდება ევროკავშირის საბჭოში, რისთვისაც საჭიროა ყველა - 27 ქვეყნის ერთსულოვანი თანხმობა. მხოლოდ ამის შემდეგ იღებს იგი იურიდიული აქტის სახეს, ხდება სავალდებულო და პირდაპირ მოქმედებს ყველა წევრ სახელმწიფოში. აღნიშნული პროცედურა, ერთი მხრივ, რიგ შემთხვევებში ხდება დაბრკოლება, რადგან იყო შემთხვევები, როდესაც, მაგალითად უნგრეთმა, დაბლოკა რამდენიმე მნიშვნელოვანი სანქციის ინიციატივა. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს იყო ისეთი ორგანიზაციის წევრი, სადაც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სახელმწიფოები მიუხედავად მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური სიძლიერის თუ ტერიტორიული სიდიდისა. ასევე, სწორედ ის ფაქტი, რომ ევროკავშირში სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარ სუვერენიტეტს და აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი საგარეო პოლიტიკა ისე გაატარონ, როგორც ისინი თვლიან საჭიროდ, თუმცა, რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრობა ხომ სწორედ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო იზიარებს იმ პრინციპებსა და დემოკრატიულ მიდგომებს, რაც ამ ორგანიზაციას გააჩნია.

სანქციები რთული და ძალიან კომპლექსური საკითხია, რომელიც პოლიტიკურ იარაღად იქცა, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ევროკავშირის რიგ სახელმწიფოებს, ასევე აქვთ შესაძლებლობა, თავისი ეროვნული სანქციები დაუწესონ კონკრეტულ ინდივიდებსა თუ ბიზნესებს. ისინი არ არიან ვალდებულნი, დაელოდონ ევროკავშირის საერთო გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამის მაგალითია სწორედ საქართველოს მაღალი თანამდებობის პირების დასანქცირება ევროკავშირის რიგი ქვეყნების მიერ. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ და რეპუტაციულ ზიანს აყენებს ქვეყანას. არ შეიძლება ამ ფაქტის ვიწრო, ინდივიდუალურ ჭრილში განხილვა. სამწუხაროდ, რიგი პოლიტიკოსების მიერ, ხდება აღნიშნულის იმგვარად მოწოდება, თითქოს დასანქცირების ფაქტი, მხოლოდ პირადად მათ უქმნის მცირეოდენ დისკომფორტს და დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის - ნებისმიერი პირი, რომელიც იკავებს განსაკუთრებით მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას ქვეყანაში, წარმოადგენს სახელმწიფოს და მათი დასანქცირება უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე და ევროკავშირში გაწევრიანების შეფერხებას იწვევს.

მარიტა გორგილაძე
საერთაშორისო და ევროპული
სამართლის დოქტორანტი
მიკოლას რომერის უნივერსიტეტში

ერეკლე II-ის ევროპული არჩევანი

ისტორია, როგორც ნამდვილი ამბავი, მთელი თავისი სინამდვილით მხოლოდ წარსულში არსებობს. ამბავი, რომელიც აწმყოში გადაგხდა და ახლა წარსულში დაიდო ბინა, შენს გონებაში ასი პროცენტის სიზუსტით არასდროს ცოცხლდება. მეტიც, ხშირად, როცა ადამიანს ეკითხები - „გახსოვს ორი კვირის წინ რომ მითხარი...?"', გპასუხობს: „ეგ კი არა, გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს". მომხდარი ამბების დამახსოვრებაში ხშირად რუტინა გვეხმარება. მაგალითად, თუ ყოველ დილას მივირთმევთ კარაქიან პურს, მაშინ მარტივი გასახსენებელია რა ჭამე გუშინ. თუმცა, ესეც არ არის საკმარისი, როდესაც წარსულის სრულად აღდგენა, მისი შინაარსის გაგება გვინდა. ამისათვის, ბევრი უნდა ვეცადოთ, წარსულში ვიმოგზაუროთ, დროითი ნახტომი გავაკეთოთ, რომ აღვადგინოთ ის დეტალურად. თანამედროვე ისტორიკოსები დიდი ხანია უკვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს ფაქტობრივად შეუძლებელია, თუნდაც მანამდე, სანამ დროში მოგზაურობის მანქანას გამოიგონებენ. შესაბამისად, როცა საკუთარ და, მით უმეტეს, ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის, უმნიშვნელოვანეს პერიოდზე საუბრობ, უფრო დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია, გაცილებით მეტი ფიქრი, შეკითხვა და სიფრთხილეა საჭირო.

ერეკლე მეორეზე საუბრისას ყველაზე დიდ მოცულობას იკავებს ხოლმე გეორგიევსკის ტრაქტატი. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ამ ტრაქტატმა და რუსეთთან ურთიერთობის დამყარებამ განსაზღვრა საქართველოს თითქმის ორი საუკუნის ისტორია. თუმცა, რამდენად მართებულია მომავლიდან, ანუ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში დამდგარი შედეგებიდან გამომდინარე, ისტორიული პირის, ერეკლე მეორეს შეფასება? ხშირად გვავიწყდება ხოლმე, რომ ყველა ისტორიული პირი ჩვეულებრივი ადამიანია, მათ აქვთ საკუთარი განვითარების გზა. ერეკლე მეორე 1744 წლიდან ჯერ კახეთის მეფე იყო, ხოლო 1762 წლიდან 1798 წლამდე ქართლ-კახეთის გაერთიანებას ედგა სათავეში. თითქმის ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა სიტუაცია რეგიონში, ომები მიმდინარეობდა ირანისა და ოსმალეთის იმპერიებში, ევროპაში. მაგ პერიოდში მოხდა საფრანგეთის რევოლუცია, ამერიკაში დაიწყო განმათავისუფლებელი ბრძოლა. ერეკლეს მეფობის განხილვისას მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატით შემოსაზღვრით სრულიად იკარგება ის მნიშვნელოვანი კონტექსტი, რაც თავად ერეკლეს მმართველობის შინაარსსა და მის მიზნებზე მიუთითებს. ერეკლეს არჩევანი არ იყო უბრალოდ სამხედრო ან პოლიტიკური კავშირი, ამ შემთხვევაში, რუსეთთან – ეს იყო მოდერნიზაციის მცდელობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს შესაძლებელი იყო XVIII საუკუნის ბოლოს მცირე ქრისტიანული სახელმწიფოსთვის აზია-ევროპის გასაყარზე.

თვითონ „ევროპული არჩევანი" იმ დროს არ ნიშნავდა ტერიტორიული ან პოლიტიკური მიერთების სურვილს რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსთან. ევროპა ერეკლესთვის, და ზოგადად იმდროინდელი ელიტისთვის, ასოცირდებოდა ორგანიზებულ სახელმწიფოსთან, განათლებასთან, თანამედროვე არმიასთან, სამართლებრივ სისტემასთან და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებთან. ამ ყველაფრის მისაღწევად კი ერეკლე იწყებს კონკრეტულ რეფორმებს:

ადმინისტრაციული მოდერნიზაცია – სამეფო ცდილობდა ადგილობრივი მმართველობის გამარტივებასა და ცენტრის გაძლიერებას. ერეკლე რამდენჯერმე იწყებს ბიუროკრატიული სტრუქტურის ახლიდან ჩამოყალიბებასა და გამართვას;

ეკონომიკური განვითარება – ჩნდება იმდროინდელი მცირე მანუფაქტურები, ქარხნები და სამთო მრეწველობა. იქმნება პირობები კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის – რაც ევროპული მოდერნულობის ძირითადი კომპონენტია.

განათლებისა და კულტურის რეფორმები – იხსნება სტამბა, ვრცელდება ევროპული თარგმანები, ძლიერდება ტრადიციული საგანმანათლებლო კერები. ერეკლე ცდილობდა, მისი შვილებისთვის ევროპული განათლება მიეცა და ეს მოდელი შემოეტანა სამეფოში.

ერეკლეს მიზნებზე საუბრისას კარგად უნდა გავიაზროთ იმდროინდელი კონტექსტი და შინაარსი, რასაც თითოეულ სიტყვაში ჩავდებთ. ისევ შესავალში ნახსენებ შედარებას რომ დავუბრუნდეთ: შეიძლება გავიხსენო, რომ ორი კვირის წინ საუზმეზე ვჭამე კარაქი, მაგრამ ეს კარაქი მცენარეული იყო, თუ ჩვეულებრივი? რამდენპროცენტიანი ცხიმიანობა ჰქონდა? ან ბავშვობაში ნაჭამი რძის ფხვნილით გაკეთებული არაჟანი არის კი დღეს სოფელში შეძენილი არაჟნის მსგავსი? ხშირია, როდესაც წარსულში მომხდარ ამბავსა და თანამედროვეობაში მიმდინარე მოვლენას ერთი და იმავე სიტყვით ვახასიათებთ,

მაგრამ არ ვფიქრობთ ამ სიტყვის შეცვლილ შინაარსზე. დრო ყველაფერს ცვლის. სწორედ ამიტომ, აუცილებლად უნდა წარმოვიდგინოთ მთელი ის გეოგრაფიული სივრცე, შინაარსობრივი არეალი, სადაც მსჯელობით ან ფიქრით შევდივართ.

ერეკლე არ არის საქართველოს მეფე, ის აღმოსავლეთ საქართველოს მართავს. მეტიც, უჭირს ქართლის გაკონტროლებაც კი, რადგან ადმინისტრაციული აპარატი არ არის გამართული. გამართული სტრუქტურის შექმნას სჭირდება ხალხი, გამოცდილი, სწავლული, დახელოვნებული ადმინისტრაციული რესურსი. რეალურად, ქართლ-კახეთში არსებული პრობლემები აჩენს მისწრაფებას ევროპული იდეალებისკენ, რადგან სწორედ ეს იდეალები ესახებათ ერეკლესა და განათლებულ ელიტას, სამეფოს გაძლიერების საშუალებად. ამას მოწმობს თელავში გახსნილი სემინარია, სადაც გვარიშვილობის განურჩევლად იღებდნენ მოსწავლეებს. ეს არის სურვილი, რომ გაიზარდოს ახალი თაობა, რომელიც ცოდნაზე დამყარებით შეიქმნის ღირებულებებს და ჩადგება სამშობლოს სამსახურში.

ერეკლეს ჰქონდა უნარი, ზუსტად ამოეცნო კონკრეტული პრობლემა და მის გადაჭრის გზაზე ეზრუნა. ამას მოწმობს სამხედრო რეფორმები და ინდუსტრიული განვითარების საწყისი ეტაპის დაფუძნებაც. მორიგე ჯარი აუცილებელი იყო ლეკიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შინაარსობრივად კი მორიგე ჯარი ნიშნავს პროფესიონალურ არმიას. ფეოდალურ სახელმწიფოებში ჯარი ფეოდალებს გამოჰყავთ მაშინ, როდესაც მეფე მოუხმობს მათ საზღვარზე მომდგარი მტრის შესაკავებლად, ან დაპყრობითი ომებისთვის. არ არსებობს ჯარი, რომლის წევრებსაც გათვითცნობიერებული აქვთ, რომ მათი სამსახური არის სამშობლოს, მისი ყველა კუთხე კუნჭულის, დაცვა. ფეოდალები ძირითადად საკუთარ საფეოდალოზე ზრუნავენ. მათი ამოსავალი წერტილი და მოტივაცია სწორედ ესაა. ამით აიხსნება ფეოდალების ხშირი მიმხრობა მტერთან. მტერი კი ყველა მხრიდან ჰყავდა სამეფოს.

ქართველების მცირერიცხოვნობის გადასაწონად ერეკლემ დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, რასაც დამატებითი ხარჯები უნდა გამოეთავისუფლებინა სამხედრო გაძლიერების დაფინანსებისთვის. მეტიც, სამხედრო ინდუსტრია და ტექნოლოგიური დახვეწა სჭირდებოდა სამეფოს. სწორედ ბრძოლის ველზე უპირატესობის მოპოვებისთვის აშენდა ზარბაზნის ჩამოსასხმელი ქარხანა. ზარბაზნის წარმოებას სჭირდებოდა სამთამადნო წარმოების განვითარება, ასევე დენთის წარმოებაც. ასეთი რეფორმების პრაქტიკაში განხორციელება კი მოითხოვს პროფესიონალ თანამშრომლებს. საჭირო იყო მეტი კონტაქტი ევროპასთან. თუმცა, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ გეოგრაფიას, დავინახავთ, რომ ევროპასთან კონტაქტი ან ოსმალეთის გავლით მოხერხდებოდა, ან რუსეთის.

ერეკლემ ყველა მხარე მოსინჯა. ქართველ მეფეებს ისტორიის განმავლობაში თითქმის სულ უწევდათ რომ ერთ იმპერიას მიმხრობოდნენ მეორეს წინააღმდეგ. ერეკლე ურთიერთობდა ირანთანაც, ოსმალეთთანაც და ბოლოს რუსეთთანაც. თუმცა, მთავარი მიზანი თვითმყოფადობა იყო, რომლის მიღწევაც მოდერნიზაციით შეიძლებოდა. ისტორიკოსებმა შეიძლება ბევრი იდავონ იმაზე მართებული იყო თუ არა გეორგიევსკის ტრაქტატის დადება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ისტორია არ არის ზუსტი მეცნიერება. შესაძლოა წყაროებში დღეს ისეთი რაღაც აღმოჩნდეს, რამაც სრულად შეცვალოს სურათი. თუმცა ის კი ნამდვილად ცხადია, რომ რუსეთის იმპერია იყო არა ევროპელი პარტნიორი, არამედ დამპყრობელი, ძალაუფლების ცენტრალიზებული მექანიზმით, რომელსაც არ გააჩნდა არც პოლიტიკური ლიბერალიზმი, არც ეკონომიკური მრავალფეროვნება, არც განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების მოდელი. მათი ევროპულობა მხოლოდ ფორმალური იყო. ქვეყნის ანექსია, სამეფოს გაუქმება და თავად-აზნაურობის ნელ-ნელა იმპერიულ ბიუროკრატიაში შთანთქმა აჩვენებს, რომ ერეკლეს მიერ არჩეული გზა ისტორიულად არ იქცა იმ შესაძლებლობად, რასაც იგი იმ დროისთვის წარმოიდგენდა. ეს მოცემულობა დღეს სრულიად განსხვავებულია. განსხვავებულია, როგორც ევროპასთან კონტაქტისა და კავშირის საშუალებები, ასევე შესაძლებლობებიც.

„არავინ ველოდით რუსისგან ამას... ახლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე სუსტნი ზრდილობითა: უცნობნი კაცთა, არა დამაფსებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი“- წერს ერეკლეს შვილიშვილი ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანი. რუსეთი აშკარად აღიქმებოდა ნათესავად რელიგიის გამო, თუმცა, რუსული სინოდი მთლიანად ექვემდებარებოდა იმპერატორს და იმპერიული ადმინისტრაციის ნაწილს წარმოადგენდა, ზუსტად ისე, როგორც „წითელი სამღვდელოება“ სტალინის პერიოდში. რუსული მმართველობის მენტალიტეტი, ფორმა და მიზნები იყო სრულიად შეუსაბამო ქართლ-კახეთისთვის, რადგან ის შემოვიდა, როგორც პროტექტორი ქვეყანა და იქცეოდა, როგორც დამპყრობელი; ის არ იყო ევროპული, განვითარებული და შინაარსობრივად გამართული სახელმწიფო.

გიორგი ჭკადუა
ისტორიკოსი

რატომ ღირს საქართველოში სესხი სამჯერ ძვირი, ვიდრე ევროპაში?

ყოველ ჩვენგანს, ვისაც სახლის ყიდვა, ბიზნესის წამოწყება ან თუნდაც საოჯახო ტექნიკის განვადებით გამოტანა უცდია, ერთ რეალობას შესჯახებია – სესხის საპროცენტო განაკვეთს. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ბანკებია, მაგრამ სინამდვილეში, პრობლემა გაცილებით ღრმაა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას პირდაპირ უკავშირდება. იმისთვის, რომ ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას, ერთად გავარკვიოთ, რისგან შედგება ის პროცენტი, რომელსაც ყოველთვიურად ვიხდით და რატომ არის ის უფრო მაღალი, ვიდრე მაგალითად ევროპაში. ფაქტია, რომ საქართველოში აღებული სესხის საშუალო პროცენტი დაახლოებით 14%-ია. როცა ევროპაში, მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში, ხალხი 4-5%-ად სესხულობს ფულს, ჩვენ ორჯერ და სამჯერ მეტს ვიხდით.

რატომ არის სესხი ძვირი? – „ქვეყნის რისკის“ ფასი

წარმოიდგინეთ, რომ ბანკი არის მაღაზია, რომელიც ყიდის ფულს. სანამ ჩვენ მოგვყიდის, ანუ გვასესხებს, მან ეს ფული თვითონაც სადღაც უნდა იშოვოს – ან საზღვარგარეთ ისესხოს, ან ჩვენივე, ქართველი მეანაბრეებისგან მოიზიდოს. ორივე შემთხვევაში, ბანკი ამ ფულში გარკვეულ პროცენტს იხდის. სწორედ ამ პროცენტს ემატება შემდეგ თავისი მოგება და სხვა ხარჯები. რატომ უჯდება ქართულ ბანკს ფულის მოზიდვა ასე ძვირი? ამის მთავარი მიზეზი „ქვეყნის რისკია“. ეს არის ერთგვარი დამატებითი გადასახადი, რომელსაც საერთაშორისო ინვესტორები გვახდევინებენ, რადგან საქართველო არასტაბილურ და სარისკო ქვეყნად ითვლება. ინვესტორს ურჩევნია, თავისი ფული შვეიცარიის ბანკში დააბანდოს 1%-ად, ვიდრე რომელიმე ქართულ ბანკში 5%-ად, რადგან ეშინია. **რისი ეშინია?** 1. პოლიტიკური არასტაბილურობის: ხშირი პოლიტიკური კრიზისები, არაპროგნოზირებადი მთავრობა, სანქცირებული მოსამართლეები და საეჭვო კანონები აფრთხობს ინვესტორს. 2. არასტაბილური ლარის: ინვესტორს ეშინია, რომ ლარი გაუფასურდება და მის მიერ ჩადებული დოლარი ან ევრო უკან ნაკლები ღირებულებით დაუბრუნდება. 3. მაღალი ინფლაციის: როცა ქვეყანაში ფასები გამუდმებით იზრდება, ფული უფასურდება. ამის შესაჩერებლად, ეროვნული ბანკი ზრდის რეფინანსირების განაკვეთს, რაც პირდაპირ აძვირებს ფულს ქვეყნის შიგნით და, შესაბამისად, სესხებსაც. ფორმულამდე რომ დავიყვანოთ, სესხის პროცენტი უდრის - მოზიდული ფულის ღირებულებას დამატებული რისკები, ბანკის საოპერაციო ხარჯები და შემდეგ ბანკის მოგება. საბოლოო ჯამში, ის მაღალი პროცენტი, რომელსაც ჩვენ ვიხდით, ძირითადად არის ამ რისკების, არასტაბილურობისა და გაურკვევლობის ფასი.

ზემოთ ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი ვახსენეთ და ვცადოთ მარტივად ავხსნათ, რა არის ეს. ეს არის ერთგვარი ორიენტირი, რომელიც განსაზღვრავს კერძო ბანკების საპროცენტო განაკვეთს ლარში. მისი ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკა გვაქვს და როგორია ფასების ზრდა. თუ ინფლაცია მაღალია, ეროვნული ბანკი აძვირებს ფულს, ანუ ზრდის რეფინანსირების განაკვეთს, რომ ადამიანებმა და კომპანიებმა ნაკლები დახარჯონ, რათა ფასები კიდევ უფრო არ გაიზარდოს. დღეს ეს განაკვეთი 8%-ია, ანუ ლარში სესხის აღება ამაზე იაფი უბრალოდ ვერ დაჯდება.

ბევრს გვახსოვს ალბათ პერიოდი, როცა საპროცენტო განაკვეთები უფრო დიდიც იყო, 2000-იანების დასაწყისში ლარში სესხს არავინ მოგცემდა, დოლარში კი 24-36% იყო იპოთეკური და ბიზნეს სესხები. დღეს ეს მაჩვენებელი შემცირებულია. ჩნდება კითხვა, რამ გამოიწვია? პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებამ, რისკების შემცირებამ, ინვესტიციების ზრდამ და ბანკებს შორის კონკურენციის ზრდამ. იმისთვის რომ ტენდენცია გაგრძელდეს, საქართველომ კი არ უნდა შეანელოს ზრდა და განვითარება, არამედ პირიქით, უფრო უნდა მოინდომოს, რომ საბოლოო ჯამში თითოეულმა ჩვენგანმა ვისარგებლოთ უფრო იაფი სესხით და ფინანსური რესურსით. როგორ ვქნათ ეს? ამაზე მეორე ნაწილში მოგიყვებით.

როგორ შევამციროთ რისკები?

ლიეტუვას, 90-იან წლებში უმძიმესი ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა: უზარმაზარი ინფლაცია, არასტაბილური ეროვნული ვალუტა და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. მაშინ მოქალაქეებისთვის სახლის ყიდვა ან ბიზნესის დაწყება თითქმის მიუღწეველი ოცნება იყო. შემდეგ მათ აირჩიეს ევროპული გზა. დაიწყეს ევროკავშირის „საშინაო დავალების“ შესრულება: გაატარეს რეფორმები, მოაწესრიგეს კანონმდებლობა, გააძლიერეს ეკონომიკა და 2004 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ, 2015 წელს კი – ევრო მიიღეს. რა შეიცვალა? დღეს ლიეტუვაში იპოთეკური სესხის საშუალო განაკვეთი დაახლოებით 4-5%-ია. ჩვეულებრივ მოქალაქეს ვილნიუსში შეუძლია, აიღოს სესხი თითქმის იგივე პირობებით, როგორითაც პარიზსა და ბერლინში. ქვეყანაში მილიარდობით ევროს ინვესტიცია შევიდა, შეიქმნა ათასობით სამუშაო ადგილი და ცხოვრების დონე მკვეთრად გაიზარდა. ეს არის კონკრეტული მაგალითი, თუ რა გზას გადის ქვეყანა ეკონომიკური იზოლაციიდან და მაღალი საპროცენტო განაკვეთებიდან ევროპულ კეთილდღეობამდე.

არადა საწყისი წერტილი ჩვენც და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ერთი და იგივე გვქონდა, საბჭოთა ოკუპაციისგან ერთდროულად გავთავისუფლდით, თითქმის ერთნაირი ეკონომიკური მოწყობით.

ვფიქრობ, ერთ-ერთი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის რისკის შემცირება, არის ევროკავშირთან დაახლოება და საბოლოოდ, გაწევრიანება. 2023 წელს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო, რაც ქვეყანას აძლევს ერთგვარ „საშინაო დავალებას“. ეს ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ის სანდო პარტნიორია. უნდა გააძლიეროს სასამართლო სისტემა, დაამარცხოს კორუფცია და შექმნას სტაბილური და ყველასთვის ერთნაირი წესები. როდესაც ამ „საშინაო დავალებას“ ვასრულებთ, ჩვენი ქვეყნის სანდოობა იზრდება. ის „რისკიანი მეზობლიდან“ საიმედო პარტნიორად იქცევა და მისთვის ფული მსოფლიო ბაზარზე ავტომატურად იაფდება. პოლიტიკური რისკები მკვეთრად იკლებს. ინვესტორს აღარ ეშინია, რადგან იცის, რომ აქ ევროპული კანონები და სამართლიანი სასამართლო იმოქმედებს. ქართულ ბანკებს შეეძლებათ, ევროპის ბაზრებზე ფული გაცილებით იაფად, თითქმის ისეთივე პროცენტში ისესხონ, როგორც გერმანულმა ან ფრანგულმა ბანკებმა. როცა ბანკი ფულს იაფად მოიზიდავს და ქვეყანაში რისკები შემცირდება, ის რა თქმა უნდა ჩვენთვის, მოქალაქეებისთვის, სესხებს გააიაფებს. ევროკავშირი თავის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას უწევს. ეს არის მილიარდობით ევროს გრანტები და ძალიან იაფი სესხები, რომლებიც ხმარდება გზების მშენებლობას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, ინტერნეტის გაყვანას სოფლებში. ძლიერი ეკონომიკა ნიშნავს მეტ სამუშაო ადგილს, მეტ სტაბილურობას და, საბოლოო ჯამში, დაბალ რისკებსა და იაფ სესხებს.

მთავრობის როლი – რატომ მივდივართ პირიქით?

აქ მივადექით ყველაზე მთავარ და მტკივნეულ საკითხს. იმისთვის, რომ ევროპული სიკეთეებით ვისარგებლოთ, ჩვენმა მთავრობამ შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგას. მათ შორის, გაატაროს რეფორმები, გააძლიეროს დემოკრატია და დაუმტკიცოს დასავლელ პარტნიორებს, რომ ჩვენ სანდო მოკავშირე ვართ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. ბოლო 2 წელში მიღებულმა კანონებმა და ანტიდასავლურმა რიტორიკამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ამით მთავრობამ ჩვენს პარტნიორებს უთხრა, რომ ჩვენ ვირჩევთ არა ევროპულ სტაბილურობას, არამედ გაურკვეველ და სარისკო მომავალს. ამან პირდაპირი დარტყმა მიაყენა იმ ფაქტორებს, რომლებიც სესხებს აიაფებს, კერძოდ, გაიზარდა „ქვეყნის რისკი“: ინვესტორები ხედავენ, რომ ქვეყანა არასტაბილური ხდება. ეს ნიშნავს, რომ მომავალში ფულის სესხება კიდევ უფრო გაგვიძვირდება. საფრთხე შეექმნა უვიზო მიმოსვლას: ეს არ არის მხოლოდ საზღვარგარეთ თავისუფლად მოგზაურობის საკითხი. უვიზო რეჟიმის დაკარგვა იქნება სიგნალი მთელი მსოფლიოსთვის, რომ საქართველო არასანდო პარტნიორია. ეს დაარტყამს ტურიზმს, ბიზნესს და კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს ეკონომიკურ რისკებს. შემცირდება დახმარება: ევროკავშირი აღარ დააფინანსებს ქვეყანას, რომელიც ზურგს აქცევს მის ფასეულობებს. ეს ნიშნავს ნაკლებ ფულს ეკონომიკაში და, შესაბამისად, შენელებულ განვითარებას.

დასკვნის ნაცვლად

იაფი სესხი ჯანსაღი ეკონომიკის, სტაბილური პოლიტიკისა და საერთაშორისო ნდობის შედეგიც არის. ევროკავშირისკენ სვლა არის ყველაზე მოკლე გზა ამ ნდობის მოსაპოვებლად და ჩვენი ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. როცა მთავრობა შეგნებულად თუ შეუგნებლად აუარესებს ურთიერთობას დასავლეთთან, ის პირდაპირ ურტყამს თითოეული ჩვენგანის ჯიბეს. ის გვაშორებს იაფ სესხს, სტაბილურ ლარს და უკეთეს ცხოვრებას. ამიტომ, კითხვაზე – „როდის გაიაფდება სესხი?“ – პასუხი დამოკიდებულია სხვა კითხვაზე: „როდის ავირჩევთ გზას, რომელიც რისკებს კი არ ზრდის, არამედ ამცირებს?“

გიორგი კეკულაძე
ჟურნალისტი